მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქალაქი თბილისი, ქუჩა II ხეივანი N10-12 საკ.კოდი: 01.18.05.003.138, არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 4966კვ.მ. გასამწვანებელი ფართობი 858,8კვ.მ

დენდროლოგიური პროექტი

დაამუშავა: კ. სურმავა

თბილისი

2022

დენდროლოგიური პროექტი

ქ. თბილისი, ქუჩა II ხეივანი N10-12 (ს/კ 01.18.05.003.138) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სულ 4966.0 მ².

გასამწვანებელი ფართობი - 858,8 მ².

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობიდან

გადასარგავია 10 ხე და 3 ბუჩქი:

ხეები:

№2;3;5;15;31;93;104;109 ნეკერჩხალი-(Acer)

№12;99 იუდას ხე-(Cercis siliquastrum)

ბუჩქები: 3ძირი

№45;46 იუკა-(Yucca)

№47იასამანი-(Syringa)

ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად გასაშენებელი ხე-მცენარეები:

1. მარადმწვანე მუხა-Quercus ilex - 11 ძირი
2. ირმის რქა-Lagerstroemia indica - 8 ძირი
3. ვერცხლისფერი ნაძვი- Picea pungens -15 ძირი
4. ცაცხვი-Tilia caucasica-8 ძირი

სულ-42 ძირი ხე-მცენარე.

გასამწვანებელ ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 75 ძირი ხე-მცენარე და ბუჩქი. ზემოთ აღნიშნული ხე-მცენარეები საშუალოდ იკავებს 10-12 მ² და 20-25 მ² ფართობს.

დასარგავი ხე-მცენარეები შერჩეულია. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების სახეობების სიიდან.

ქალაქი თბილისის განაშენიანებაში მწვანე ნარგავების როლი ერთობ დიდია, როგორც ესთეტიური, ასევე მათი დანიშნულების მიხედვით.

1. მწვანე ნარგავებს აქვთ დაჩრდილვის უნარი;
2. მწვანე ნარგაობანი ჰაერს ქიმიურად ასუფთავებს, სამართლიანად არიან აღიარებულნი დასახლებულ ადგილთა „ფილტვებად“, რადგან ისინი შთანთქავენ ნახშიროჟანგს და გამოყოფენ ჟანგბადს;
3. ნარგაობანი ჰაერს ფიზიკურად ასუფთავებს;
4. ნარგაობანი საგრძნობ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურაზე;
5. ნარგაობანი საგრძნობლად ამცირებს ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს;
6. ნარგაობანი ადიდებს ჰაერის შეფარდებით ტენიანობას;
7. ნარგავები ამცირებენ ხმაურს;
8. ნარგავები იცავენ ადამიანებს მავნე მიკრობებისგან და მრავალგვარი დაავადებებისგან.

ეს მიზეზები ზრდის მწვანე ნარგავების როლს ქალაქის განაშენიანებაში.

აგროტექნიკური ღონისძიებები:

ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გადასარგავია სულ 13 ძირი ხე და ბუჩქი. ხე-მცენარეების და ბუჩქების ამოღება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, როგორც სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, ასევე ხელით.

გადასარგავი ხე-მცენარეები და ბუჩქებია:

№2;3;5;15;31;93;104;109 ნეკერჩხალი-(Acer)

№12;99 იუდას ხე-(Cercis siliquastrum)

ბუჩქები: 3ძირი

№45;46 იუკა-(Yucca)

№47იასამანი-(Syringa)

N	დასახელება	ღეროს დიამეტრი	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
1	მარადმწვანე მუხა-Quercus ilex	14სმ.	12 წ.	3.5 მეტრი	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი.	

მარადმწვანე მუხა-Quercus ilex

მარადმწვანე ხე-მცენარეა, იზრდება 20-25 მეტრამდე. ცოცხლობს 450 წლამდე. მუხის მერქანი მაგარი და გამძლეა.სინათლისა და სითბოს მოყვარულია.დეკორატიულია, რგავენ ბაღებსა და პარკებში.

N	დასახელება	ღეროს დიამეტრი	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
1	მარადმწვანე მუხა-Quercus ilex	14სმ.	12 წ.	3.5 მეტრი	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი.	

ირმის რქა (ლათ. Lagerstroemia indica) — დეკორატიული მცენარე ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან დაბალი ხეა. აქვს ქოლგისებრი ვარჯი; ღია მწვანე, პრიალა. ელიფსური ან წაგრძელებულ-უკუკვერცხისებრი ფოთოლი; ვარდისფერი, წითელი ან მეწამული რთული ყვავილი. მცენარე ნელა იზრდება, ყინვაგამძლეა, ყველანაირ ნიადაგს ეგუება, მაგრამ კარგად ხარობს შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში ეწერ ნიადაგებზე, ყვავილობს ზაფხულის პერიოდში. მრავლდება თესლითა და კალმით. გავრცელებულია ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, აზერბაიჯანში, შუა აზიის სამხრეთ რაიონებში, საქართველოში. კულტურაში არსებობს მისი სხვადასხვა დეკორატიული ფორმა

N	დასახელება	ღეროს დიამეტრი	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
3	ვერცხლისფერი ნაძვი Picea pungens	14 სმ.	10 წ.	3 მეტრი	გვალვაგამძლე, სწრაფმზარდი	

ნაძვი (ლათ. Picea) — წიწვოვან მცენარეთა გვარი ფიჭვისებრთა ოჯახისა.

ნაძვი მარადმწვანე ტანმაღალი (20–50 მეტრი) ხეა. წიწვები მეტწილად ოთხწახნაგოვანი აქვთ, იშვიათად ბრტყელი და წაწვეტებული. ერთსახლიანი მცენარეა. აერთიანებს 40–მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობა — აღმოსავლური ნაძვი (ლათ. Picea orientalis).

გავრცელებულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოსა და ბორჯომის ხეობაში, აღმოსავლეთით მისი გავრცელების საზღვარი მიჰყვება კავკასიონის მთავარ ქედს შავი არაგვის ხეობამდე და სამხრეთ მთიანეთს თბილისის მერიდიანამდე. იზრდება ზღვის დონიდან 2200–2300 (2400) მეტრამდე, თუმცა ტეხიანსა და დაჩრდილულ ხეობებში (აჭარაში) 100–80 მეტრამდე ეშვება. ტყის მასივებს ქმნის უმთავრესად ნაძვისა და სოჭის სარტყელში ზღვის დონიდან 1500–1800 მეტრი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ იგი გავრცელებულია ჩრდილო კავკასიასა და თურქეთში. 15–20 წლამდე იზრდება შედარებით წელა, შემდეგ კი საკმაოდ სწრაფად; მსხმოიარობას თავისუფლად მდგომი ხე 20–25 წლისა იწყებს, ტყეში კი — უფრო გვიან. იძლევა მაღალი ღირსების მერქანს.

საქართველოში, გარდა ადგილობრივი ნაძვისა, ბაღ-პარკებსა და წაწილობრივ ტყის კულტურაში გვხვდება აგრეთვე ინტროდუცირებული სახეობები: ევროპული ნაძვი (ლათ. Picea excelsa), ჰიმალაური ნაძვი (ლათ. Picea morinda), ვერცხლისფერი ანუ მჩხვლეტავი ნაძვი (ლათ. Picea pungens) და სხვ. ნაძვი ჩრდილის ამტანი, ყინვაგამძლე, მეზოფილური ჯიშია. ცოცხლობს 250–300, იშვიათად 500 წლამდე.

N	დასახელება	ღეროს დიამეტრი	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
4	ცაცხვი/Tilia caucasica	14 სმ.	12 წ.	4 მეტრი	ტენის მოყვარული	

ცაცხვი (Tilia caucasica) ფოთოლმცვენი 35 მეტრამდე სიმაღლის ხეა. ხის ვარჯი დიამეტრით აღწევს 2 მეტრს, თხელი, მსკდომარე ქერქით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, დაკბილული, ზედა მხრიდან მწვანე, შიშველი, ქვედა მხრიდან-ნაცარა, ხშირად შებუსული, ყვავილები მოყვითალო-თეთრია, არომატული, შეკრებილია 3-15 ფარისებრ ნახევარქოლგა ყვავილედში.

გავრცელებულია ყველგან, წიწვოვანი ტყეების ზონამდე.

ხე-მცენარეების ამოღება:

1. მოთხრა უნდა მოხდეს შემოდგომაზე ვეგეტაციის ბოლოს, როდესაც მცენარის ყლორტის ზრდა დამთავრდება, გამერქნდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კენწეროს კვირტი, ან გაზაფხულამდე კვირტის გახსნამდე (მცენარის ვეგეტაციის დაწყებამდე). შემოდგომა (ოქტომბერი) და ადრე გაზაფხული (მარტი);
2. უნდა მოხდეს მცენარის გასხვლა;
3. ხის კომი უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1,7 მ.-ის;

4. ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
5. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
6. ამოღებისას ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით ან სპეციალური ბადით;
7. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი გაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ);
8. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამპის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან.
9. ხის ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამომღები მანქანით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან, ვინაიდან გადარგვის პროცესში კომს არ შეექმნას არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას ან მათგან ნიადაგის მოშორებას;

ხე-მცენარეების დარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებულ უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0.5-0.9 მ. - ით მეტი, ხოლო სიმაღლე 0.2-0.25 მ. - ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
2. ამოღებულ ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან;
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
6. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისგან;
7. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
8. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;

9. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღეროს ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
10. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
11. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
12. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები.

მწვანე მოლის დათესვა

მოლს ჰყოფენ ორ ძირითად ჯგუფად: დეკორატიული და სასპორტო. ჩვენს შემთხვევაში გამოიყენება დეკორატიული მოლი. დასათესად გამოიყენება მრავალწლოვანი კოინდარი, რომელიც კარგად ხარობს, როგორც ღია მზიან, ისე დაჩრდილულ ადგილებში, უყვარს ნოყიერი ნიადაგი. ნათესარი სწრაფად ვითარდება და პირველსავე წელს იძლევა ელასტიურ და კარგად შეკრულ მოლს.

ნიადაგის მომზადება მოლისათვის

დეკორატიული მოლის მისაღებად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნიადაგის მომზადება და მისი ზედმიწევნით კარგად დამუშავება, რაზედაც დამოკიდებულია მოლის ხარისხი და გამძლეობა. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ხელოვნურად ნიადაგი შემდეგი თანაფარდობით: 1/3 ტორფი, 1/3 ორგანული სასუქი და 1/3 ტყის ნეშომპალიანი მიწა(გაცრილი). ნიადაგი უნდა გაიშალოს ფართობში არა ნაკლებ 15-20 სმ-ისა.

თესვის ვადა და წესი

ნიადაგის შეტანის შემდეგ, ხელის ფოცხით ხდება მისი გასწორება და სარეველების მოცილება. თესვის ყველაზე ხელსაყრელი დროა გაზაფხული (მარტი,აპრილი) ან გვიანი შემოდგომა. თესვა ხდება ხელით, თესლის მობნევით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ განაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა ორ თანაბარ ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით, გარდიგარდმო. ერთი კილოგრამი კოინდარი ითესება 15-20 მ² ფართობზე. თესვის დამთავრების შემდეგ საჭიროა თესლის წაბურვა-ჩაფვლა, ხელის ფორცხით 0.5-2 სმ სიმაღლეზე. წაბურვის შემდეგ აგროტექნკური თვალსაზრისით აუცილებელია მოთესილი ფართობის მსუბუქი საგორებელი სატკეპნით დატკეპნა, რის შემდეგაც აუცილებელია მორწყვა. ჩვენს შემთხვევაში 698 მ² ფართობის მოსათესად საჭიროა 47 კგ. თესლი.

მოლის მოვლა

მოლის კარგი მოვლა განაპირობებს ბალახის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, მოუვლელობის შედეგად მარცვლოვანი ბალახი იჩაგრება და იდევნება ფართოფოთლოვანი სარეველებისაგან, ხოლო მწირ და მყავე ნიადაგზე ჩნდება ხავსი, მოტიტვლებული ადგილები.

თანაბარი, ლამაზი და მწვანე ბალახნარის მისაღებად, საჭიროა მოლის ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შემდეგ მცენარე უკეთ ბარტყობს და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ინვითარებს ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახები ისპობა. მოლის გათიბვა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მცენარე მიაღწევს სიმაღლეში 10-12 სმ-ს. ფართობის გათიბვა უნდა მოხდეს თვეში 4-6 ჯერ. განსაკუთრებულ რეგულარულ რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ გაღივების პერიოდში და ბალახის აღმოცენების პირველ ხანებში. მორწყვა უნდა მოხდეს ყოველდღიურად დილით ადრე და საღამოს. მორწყვითი პროცედურები წარმოებს მანამ სანამ ნიადაგის ზედა ფენა არ გაიჟღინთება 5-12 სმ. სიღრმემდე. გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში 1მ² მოლის მოსარწყავად საშუალოდ 0,8-1მ³ წყალია საჭირო.

კ. სურმავა



ביאור סימונים

גבול מגרש

גבול מגרש מוצע

טבלת שטחים

סה"כ שטח מגרש	6,000	מ"ר	
שטח בנוי מעל הקרקע	2,400	מ"ר	
שטח בנוי מתחת לקרקע	2,400	מ"ר	
מס' יחידות דיור			
מס' קומות			
גובה	1-כל		

מקרא

עץ מוצע	
עץ קיים	
עץ להסרה	
שיח מוצע	
שיח קיים	
שיח להסרה	

מפתח

1	תכנית פיתוח
2	תכנית השתילה
3	פרטים

תכנית פיתוח, תכנית השתילה ופרטים

בית ספר יסודי ע"ש [illegible]

מספר תיק	2022-6
מספר שרטוט	01
תאריך	01/01/2023
מהנדס	

დენდროლოგიური პროექტი საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ალიანს კონტრაქშენ" ს/კ 405195587

საპროექტო რეტიტორია: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, II ხეივნის ქუჩა № 10-12, ს/კ 01.18.05.003.138 არასასოფლო სამეურნეო / ფართობი 4966 მ²

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური

კ3 კოეფიციენტის ფართი - 858.8 მ²



გასაშენებელი ნარგავების სახეობები:

8 ძირი ცაცხვი, 11 ძირი მარადმწვანე მუხა, 8 ძირი ირმის რქა, 15 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი

გადასარგავი ხეები: 10 ძირი / №2, 3, 5, 15, 31, 93, 104, 109 - ნეკერჩხალი

№12, 99 - იუდას ხე

გადასარგავი ბუჩქები: 3 ძირი / №45, 46 - იუკა, №47 იასამანი



გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი:

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: 13.04.2023

გასანაშენიანებელი ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი

განაშენიანებული ხე-მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი:

ემილ მამმადოვი პ/ნ 01591005682

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 20 ოქტომბერი 2018წ.

ქალაქი თბილისი, ქუჩა II ხეივანი, № 10- 12, საკ. კოდი:01.18.05.003.138 , არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი: 4966.00 კვ.მ; მესაკუთრე: ამხანაგობა „ხეივანი" IDნომერი:204515159.

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი.

საკვლევი ობიექტი არის რელიეფურად ვაკე . აღწერა შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ატამი-Prúnus pérsica	ხე	2	ჯანსაღი	
2	ნეკერჩხალი-Acer	ხე	2	ჯანსაღი	
3	ნეკერჩხალი-Acer	ხე	2	ჯანსაღი	დაზიანებული
4	ხემყრალა-Ailanthus altissima	კუნძი	8	კუნძი	
5	ნეკერჩხალი-Acer	ხე	2	ჯანსაღი	
6	იფანი-Fraxinus	კუნძი	8	კუნძი	
7	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	22	ჯანსაღი	კუნძზე მრავლობითი ამონაყარი
8	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	18	ჯანსაღი	კუნძზე მრავლობითი ამონაყარი
9	ლეღვი- Ficus carica	ხე	16	ჯანსაღი	
10	თუთა-Morus	კუნძი	18	კუნძი	
11	თუთა-Morus	კუნძი	30	კუნძი	
12	იუდას ხე-Cercis siliquastrum	ხე	20	ჯანსაღი	
13	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	19	ჯანსაღი	
14	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	16	ჯანსაღი	ორკაპი
15	ნეკერჩხალი- Acer	ხე	19	ჯანსაღი	გადაბელილი
16	ალუბალი- Prunus	ხე	19	ჯანსაღი	

	cerasus				
17	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	28	ჯანსაღი	ტოტხმელი
18	ლეღვი- Ficus carica	ხე	31	ზეხმელი	მოჭრა
19	ალუბალი- Prunus cerasus	ხე	18	ჯანსაღი	
20	კარალიოკი-Diōspyros	ხე	30	ჯანსაღი	
21	ვაზი- Vitis	მხვიარა	4	ჯანსაღი	
22	ვაზი- Vitis	მხვიარა	6	ჯანსაღი	
23	კარალიოკი-Diōspyros	ხე	25	ჯანსაღი	ტოტხმელი
24	ხემყრალა- Ailanthus altissima	ხე	9	ჯანსაღი	ორკაპი
25	ხემყრალა- Ailanthus altissima	ხე	9	ჯანსაღი	
26	ატამი-Prúnus pérsica		6	ჯანსაღი	ტოტხმელი
27	ვაზი- Vitis	მხვიარა	7	ჯანსაღი	
28	ატამი-Prúnus pérsica	ხე	4	ჯანსაღი	ტოტხმელი
29	ხურმა-Diōspyros	ხე	32	ჯანსაღი	ორკაპი/ტოტხმელი
30	ხურმა-Diōspyros	ხე	17	ჯანსაღი	ტოტხმელი
31	ნეკერჩხალი- Acer	ხე	12	ჯანსაღი	ორკაპი
32	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	30	ნახევრად ხმელი	
33	კომში-Cydonia	ხე	9	ჯანსაღი	ტოტხმელი
34	ხურმა-Diōspyros	ხე	10	ჯანსაღი	
35	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	21	ჯანსაღი	
36	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	27	ჯანსაღი	ორკაპი
37	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	19	ჯანსაღი	ორკაპი
38	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	7	ჯანსაღი	
39	ხურმა-Diōspyros	ხე	17	ჯანსაღი	გადაბელილი
40	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი
41	ლეღვი- Ficus carica	ხე	16	ჯანსაღი	
42	ბროწეული-Punica granatum	ბუჩქი	4	ჯანსაღი	
43	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	6	ზეხმელი	მოჭრა
44	ტყემალი-Prúnus	ხე	20	ჯანსაღი	

	cerasiféra				
45	იუკა-Yucca	ბუჩქი	4	ჯანსაღი	
46	იუკა-Yucca	ბუჩქი	4	ჯანსაღი	
47	იასამანი-Syringa	ბუჩქი	3	ჯანსაღი	
48	ხურმა-Diōspyros	ხე	13	ჯანსაღი	
49	ბროწეული-Punica granatum	ბუჩქი	3	ჯანსაღი	
50	დაფნა-Laurus	ბუჩქი	10	ჯანსაღი	
51	ატამი-Prúnus pérsica	ხე	12	ზეხმელი	მოჭრა
52	ატამი-Prúnus pérsica	ხე	7	ზეხმელი	მოჭრა
53	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	33	ფაუტი	მოჭრა
54	ბროწეული-Punica granatum	ბუჩქი	18	ჯანსაღი	
55	მუშმუშა-Eriobotrya japonica	ხე	4	ჯანსაღი	
56	ბანანი-Musa	ხე	10	ჯანსაღი	
57	ბანანი-Musa	ხე	8	ჯანსაღი	
58	ბანანი-Musa	ხე	10	ჯანსაღი	
59	ბანანი-Musa	ხე	10	ჯანსაღი	
60	ბანანი-Musa	ხე	5	ჯანსაღი	
61	ბროწეული-Punica granatum	ბუჩქი	9	ჯანსაღი	
62	ბანანი-Musa	ხე	22	ჯანსაღი	
63	ბანანი-Musa	ხე	20	ჯანსაღი	
64	ბანანი-Musa	ხე	12	ჯანსაღი	
65	ბანანი-Musa	ხე	20	ჯანსაღი	
66	ბანანი-Musa	ხე	8	ჯანსაღი	
67	ბანანი-Musa	ხე	18	ჯანსაღი	
68	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	26	ჯანსაღი	ორკაპი
69	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	28	ჯანსაღი	ორკაპი
70	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	22	ჯანსაღი	ორკაპი
71	ბანანი-Musa	ხე	19	ჯანსაღი	
72	ბანანი-Musa	ხე	16	ჯანსაღი	
73	ბანანი-Musa	ხე	22	ჯანსაღი	
74	ბანანი-Musa	ხე	22	ჯანსაღი	
75	ბანანი-Musa	ხე	22	ჯანსაღი	
76	ბანანი-Musa	ხე	22	ჯანსაღი	
77	ალუბალი- Prunus cerasus	ხე	7	ჯანსაღი	ტოტხმელი

78	ვაშლი- Malus	ხე	8	ჯანსაღი	
79	ხურმა-Diōspyros	ხე	8	ჯანსაღი	
80	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	9	ჯანსაღი	
81	ხურმა-Diōspyros	ხე	20	ჯანსაღი	
82	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	20	ჯანსაღი	
83	ზღმარტლი-Mespilus germanuca	ხე	14	ჯანსაღი	
84	ხურმა-Diōspyros	ხე	16	ჯანსაღი	
85	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	24	ზეხმელი	
86	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	12	ჯანსაღი	
87	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	33	ნახევრად ხმელი	
88	ლეღვი- Ficus carica	ხე	26	ჯანსაღი	ტოტხმელი
89	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	20	ჯანსაღი	
90	ხურმა-Diōspyros	ხე	18	ჯანსაღი	
91	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	9	ჯანსაღი	
92	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	10	ჯანსაღი	
93	ნეკერჩხალი- Acer	ხე	2	ჯანსაღი	
94	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	4	ჯანსაღი	კუნძზე ამონაყარი
95	ვერხვი-Populus	კუნძი	26	კუნძი	
96	ვერხვი-Populus	კუნძი	20	კუნძი	
97	ვერხვი-Populus	კუნძი	20	კუნძი	
98	ლეღვი- Ficus carica	ხე	2	ჯანსაღი	კუნძზე ამონაყარი
99	იუდას ხე-Cercis siliquastrum	ხე	2	ჯანსაღი	
100	ლეღვი- Ficus carica	ხე	22	ჯანსაღი	ორკაპი
101	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	14	ჯანსაღი	ორკაპი
102	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი
103	ლეღვი- Ficus carica	ხე	15	ჯანსაღი	ორკაპი
104	ნეკერჩხალი- Acer	ხე	13	ჯანსაღი	ორკაპი
105	ლეღვი- Ficus carica	ხე	14	ჯანსაღი	
106	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	14	ჯანსაღი	ორკაპი

107	ლეღვი- Ficus carica	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი
108	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	8	ჯანსაღი	
109	ნეკერჩხალი- Acer	ხე	11	ჯანსაღი	
110	ვაშლი-Malus	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი
111	ლეღვი- Ficus carica	ხე	12	ჯანსაღი	ორკაპი
112	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	6	ჯანსაღი	
113	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	12	ჯანსაღი	ორკაპი

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა 113 ეგზემპლიარია. აქედან-100 ცალი ხე, 10 -ცალი ბუჩქი და 3 -ცალი მხვიარა. კერძოდ:

№ 33 - კომში (Cydonia), №7, 8, 13, 14, 17, 32, 35-38, 40, 43, 44, 53, 68, 69, 70, 80, 82, 85-87, 89, 91, 92, 94, 101, 102, 106, 108, 112, 113 - ტყემალი (Prúnus cerasiféra), №9, 18, 41, 88, 100, 103, 105, 107, 111 - ლეღვი (Ficus carica), №16, 19, 77 - ალუბალი (Prunus cerasus), №78, 110-ვაშლი(Malus), №20, 23 - კარალიოკი(Diōspyros), №1,26, 28, 51, 52 - ატამი (Prúnus pérsica), №29, 30, 34, 39, 48, 79, 81, 84, 90 - ხურმა (Diōspyros), №42, 49, 54, 61 - ბროწეული (Punica granatum), №55 - მუშმულა (Eriobotrya japonica), №56-60, 62-67, 71-76 ბანანი (Musa), №83 - ზღმარტლი (Mespilus germanuca) მიეკუთვნება ხილკენკროვან ფოთლოვან სახეობებს ;

№4 ხემყრალა-(Ailanthus altissima); №2,3,5,6,15,31,93,95,97,104,109 ნეკერჩხალი- (Acer); №12,99იუდას ხე-(Cercis siliquastrum) მიეკუთვნება იაფი მერქნითი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან ხე-მცენარეებს;

№.10,11- თუთა (Morus) ფოთოლმცვივანი ხეებისა და იშვიათად ბუჩქების გვარი თუთისებრთა ოჯახისაა;

№ 98 -თხილი(Corylus), №45,46 იუკა-(Yucca); №47 იასამანი-(Syringa); №50 დაფნა-(Laurus) მიეკუთვნება ბუჩქებს

№ 21,22,27 -ვაზი-(Vitis) გვარი ვაზისებრთა ოჯახისა ,ბუნებრივად მოზარდი ვაზი მხვიარაა;

ზემოთ აღნიშნული ხე-მცენარეებიდან და ბუჩქებიდან: №18 ლეღვი (Ficus carica); №51;52 ატამი (Prúnus pérsica); №43; 85 ტყემალი (Prúnus cerasiféra) ზეხმელია

№32;53;87 ტყემალი (Prúnus cerasiféra) ნახევრად ხმელია.

№4 ხემყრალა-(Ailanthus altissima); №6იფანი-Fraxinus; № 10,11 თუთა (Morus); №96;97;95 ვერხვი-(Populus) კუნძია.

საამშენებლო არეალში ჰყვება შემდეგი ხე-მცენარეები და ბუჩქები:

№1 ატამი (Prúnus pérsica); №49 ბროწეული (Punica granatum);
№91;92;94;102;108;112;113ტყემალი (Prúnus cerasiféra); №79 ხურმა (Diōspyros); №77ალუბალი

(Prunus cerasus); №98;107;111ლეღვი (Ficus carica); №110 ვაშლი(Malus); ხილკენკროვანი ხე-მცენარეები, რომელთა დიამეტრი 12სმ-ი და ნაკლებია, ამიტომ მათი მოჭრა არ საჭიროებს ნებართვას უფლებამოსილი ორგანოებიდან.

№9;88;100;103;105 ლეღვი (Ficus carica); №13;14;17;44;68;69;70;80;86;89;87 ტყემალი (Prúnus cerasiféra); №16ალუბალი (Prunus cerasus); №23 კარალიოკი(Diōspyros); №30;39;48;90 ხურმა (Diōspyros); №78 ვაშლი(Malus); ზემოთ ჩამოთვლილი ხილკენკროვანი ხეების დიამეტრი 12სმ-ზე მეტია, ამიტომ მათ მოჭრას და გადარგვას ესაჭიროება უფლებამოსილი ორგანოებიდან ნებართვა.

№2;3;5;31;15;63;104;109 ნეკერჩხალი- (Acer); №12;99 იუდას ხე-(Cercis siliquastrum); ბუჩქები: №45;46 იუკა-(Yucca); №47 იასამანი-Syringa.

ზემოთ აღნიშნული ხე-მცენარეები და ბუჩქები არ არის დიდი დიამეტრის ამიტომ მათი გადარგვა შესაძლებელია ხელით. მცენარეები გადარგვის წინ უნდა გაისხლას, ამოღება უნდა მოხდეს ისე რომ მცენარეს შეუნარჩუნდეს მიწის გუნდა(კომი), შემდგომ მოხდეს ფესვთა სისტემის დამუშავება, შეიფუთოს ჯვალოს ტომარაში ან ტილოში და გადატანილი იქნეს წინასწარ გამზადებულ ორმოში სიდიდით დიამეტრით 0,5მ.X0,5მ. რომლის ძირიც დაფარულია ორგანული სასუქით სიდიდით 3-4სმ. დარგვის წინ უნდა გადაიხსნას ჯვალოს ტომარა ან ტილო და მიეყაროს მიწა, კარგად დაიტკეპნოს, გაუკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მორწყვა. მორწყვა უნდა მოხდეს ყოველ მესამე დღეს.

ექსპერტი. გიორგი ტივაძე

შ.პ.ს "კირკიტაძე და კომპანია" (ს/ნ64162940067)

პეკინის ქ. №27 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

ქალაქი თბილისი, II ხეუვნის ქუჩა №10-12 (ს/კ: 01.18.05.003.138)
ამხანაგობა"ხეივანი" (პ/ნ: 204515159) საკუთრებაში არსებული 4966 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს	საცხ. შენობა	ხის ღობე	წყალგაყვანილობა
ქა	არასაცხ. შენობა	ღობე	გაზი
	ფარდული	ქვის კედელი	კანალიზაცია
	მშენებარე შენობა	კედელი	სანიაღვრე
	წიწვოვანი ხე	ფლატე	კავშირგაბმულობა
	ფოთლოვანი ხე	რკინიგზა	ელ. ქსელები
	ხილკენკროვანი	სამეთვალყურეო ჭები	გათბობა
	მცენარე გარე განათება	ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა: 1) გეგმაზე დატანილია სამართო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინადან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შ.პ.ს. "კირკიტაძე და კომპანია" (ს/ნ64162940067)

პეკინის ქ. №27/10 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27/10 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

www. kirkitadze.ge kirkitadze@mail.ru

დირექტორი:		რ. კირკიტაძე
აზომა:		ი. ჩონიაძე
დახაზა:		ხ.ქართველიშვილი
დამკვეთი		ამხანაგობა "ხეივანი"
მასშტაბი: 1:500		12.10.2018w.














13










18


















25






30


























































G2
G3


G2


G2
G1


G
G


68


65


70


71



























